ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-93. 93240333**
თარიღი:**02/02/2024**

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართი N1-ში და დამატებულ იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი ქონება:

1. მაღალი გამავლობის ავტომანქანა UAZ 31514 - სახ/ნ FM 980 MM; გამოშვების თარიღი 2006 წელი;

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი - ს/კ 54.02.53.617 - 12770კვ.მ;

3. ქალაქ ლაგოდეხში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7545 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ს/კ 54.01.54.584 (ყოფილი სანიტარული ნაწილი);

4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 6050 კვ.მ. (ს/კ 54.11.52.520);

5. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 383 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა - ს/კ 54.06.57.138;

6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 17761 კვ.მ მიწის ნაკვეთი - ს/კ 54.02.53.622;

7. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ დავითიანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 12053 კვ.მ. მიწის ნაკვეთი - ს/კ 54.05.55.589;

8. სიღნაღის რაიონის ყოფილი მიწებიდან, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 104591 კვ.მ მიწის ნაკვეთი - ს/კ 54.19.60.320;

9. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 61500 კვ.მ მიწის ნაკვეთი - ს/კ 54.19.63.276.

მუხლი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმა ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი